# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

# ბრძანება №103

## 1996 წლის 16 ივნისი

## ქ. თბილისი

## საკონსულო მოსაკრებლის ტარიფი საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა მიერ საზღვარგარეთ შესრულებული საკონსულო მოქმედებებისათვის

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი I

საკონსულო მოქმედებისათვის, რომლებიც სრულდება საზღვარგარეთ, უცხოეთის იურიდიულ პირებს, მოქალაქეებს, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, ახდევინებენ საკონსულო მოსაკრებელს.

საკონსულო მოსაკრებლის გადახდა ხდება საქართველოს კანონმდებლობის, „საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ ტარიფის, აგრეთვე ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომელთა მონაწილეა საქართველო.

### მუხლი 2

„საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საკონსულო მოსაკრებლის ტარიფს ადგენს და აუცილებლობის შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. საკონსულო მოსაკრებლის სახით შემოსული თანხების გადახდევინება და განაწილება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 3

ფაქტობრივი დანახარჯები, რომლებიც წარმოიქმნება საკონსულო მოქმედების შესრულებისას, ასევე უდნა იქნეს ანაზღაურებული საკონსულო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული ტარიფის შესაბამისად.

საკონსულო მოქმედების განხორციელებისას წარმოქმნილ მატერიალურ დანახარჯებს განეკუთვნება: საქართველოს მოქალაქის პასპორტებისა და პირადობის მოწმობების, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები; საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო, სატელეტაიპო, სატრანსპორტო (მათ შორის, სავიზო დოკუმენტაციის გადაგზავნასთან დაკავშირებული) ხარჯები: ვიზების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები, მათ შორის სავიზო ეთიკეტის ღირებულების ანაზღაურება; საკანცელარიო და სხვა ნებისმიერი ზედნადები ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საკონსულო მოქმედების შესრულების ადგილზე მივლინებასთან; საკონსულო მოქმედებათა სასწრაფო, არასამუშაო საათებსა და დღეებში, აგრეთვე სადღესასწაულო დღეებში შესრულებასთან, ქონების შენახვასა და მოძებნასთან, მის გაყიდვასთან; ხარჯები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საკონსულო პრაქტიკაში, მაგ.: სხვადასხვა სახის ბლანკებისა და მოწმობების დამზადება, დოკუმენტების ქსეროასლების გადაღება: აგრეთვე ხარჯები, დაკავშირებული საქართველოს და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობასთან.

ასეთ დანახარჯებს განეკუთვნება აგრეთვე:

- შესაბამის უწყებებში განცხადებათა განხილვასთან, დოკუმენტების, მონაცემების გამოთხოვასა და საბუთების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რაც გასწია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტმა ან საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებამ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე;

- დანახარჯები ადვოკატების, ნოტარიუსების, მთარგმნელების, ექსპერტების ან სხვა პირების მიერ გაწეული იმ სამუშაოს ასანაზღაურებლად, რომელიც მათ დაევალათ საკონსულო დაწესებულების მიერ, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე;

აუცილებელ შემთხვევებში, თუ ასეთი მოქმედება ხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, საჭიროა დაინტერესებული მხარის ან საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის თანხმობის მიღება.

- ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება სასამართლო საქმეების წარმოებისას, ან იმ საქმეების წარმოებისას, რომლებიც დაკავშირებულია გირაოს დატოვებასთან.

- საქორწინო ცერემონიების ორგანიზებისას წარმოქმნილი დანახარჯები და სხვა.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსულო მოქმედებების განხორციელების დროს იზრდება ფაქტობრივი დანახარჯები, ან ისეთი მატერიალური ხარჯების წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული საკონსულო დაწესებულების მიერ შემუშავებული და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული ფაქტობრივი დანახარჯების ტარიფით, განმცხადებელი საკონსულო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე გადაიხდის დამატებით შესაბამის თანხას.

ფაქტობრივი დანახარჯები არ შედის საკონსულო მოსაკრებელში და იგი მთლიანად ამოიღება შესაბამისი ფაქტიური დანახარჯების ასანაზღაურებლად.

## მუხლი 4

ტარიფი შეიცავს საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთს უცხოეთისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის.

მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის დაწესებული საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთი განსაზღვრულია ისევე, როგორც მათი მუდმივსაცხოვრებელი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის.

საქართველოს მოქალაქეებისათვის დაწესებულია საკონსულო მოსაკრებლის შეღავათიანი განაკვეთი.

საკონსულო მოსაკრებლის გადახდა ხდება საკონსულო მოქმედების შესრულებამდე.

ცალკეულ შემთხვევებში, საკონსულო მოსაკრებლის გადახდის ვადა შეიძლება დააწესოს საკონსულო დაწესებულებამ.

საკონსულო მოსაკრებლის გადახდისა ან ფაქტობრივი დანახარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ან მათი გადახდის დაგვიანების შემთხვევაში. საკონსულო დაწესებულებას უფლება აქვს შეაჩეროს საკონსულო მოქმედების შესრულება ან უარი განაცხადოს ასეთი მოქმედების შესრულებაზე.

იურიდიული პირებისათვის საკონსულო მოსაკრებელი იზრდება 2-ჯერ.

## მუხლი 5

განმცხადებლის თხოვნის მიხედვით იმ საკონსულო მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ტარიფით, მოსაკრებელი აიკრიფება ფაქტობრივი დანახარჯის სახით.

## მუხლი 6

საქართველოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობის მიზნით, საკონსულო დაწესებულების მიერ საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისათვის ინფორმაციულ-სამართლებრივი ხასიათის მომსახურების გაფორმება ხდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომელშიც მიეთითება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

ასეთი მომსახურების გაწევამ არ უნდა წარმოშვას საკონსულო დაწესებულებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის რაიმე ფინანსური ვალდებულება.

## მუხლი 7

საკონსულო მოსაკრებლის ოდენობა ამ ტარიფში განსაზღვრულია აშშ დოლარებში, რომლის გადახდაც შესაძლებელია როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერ კონვერტირებად ვალუტაში.

ფაქტობრივი დანახარჯების ანაზღაურება ხდება ასევე როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერ კონვერტირებად ვალუტაში.

აშშ დოლარების გადაანგარიშება სხვა კონვერტირებად ვალუტაზე ხდება ანგარიშსწორების მომენტში იმ ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური კურსით, რომელშიც გახსნილია საქართველოს საკონსულო დაწესებულების ანგარიში.

საკონსულო მოსაკრებლის გადახდისა და ფაქტობრივი დანახარჯების ანაზღაურების დასადასტურებლად გაიცემა ქვითარი, რომლის ფორმასაც ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სავალუტო-საფინანსო და საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტი, საკონსულო დეპარტამენტთან ერთად.

## მუხლი 8

საკონსულო მოსაკრებელს არ ახდევინებენ:

ა) თუ ასეთი გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხებით, რომლის მონაწილენიც არიან საქართველო და ადგილსამყოფელი სახელმწიფო;

ბ) საქართველოს მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეებზე;

გ) უცხოური პასპორტების ვიზიარებისათვის ნაცვალგების საფუძველზე;

ვიზების გაცემისათვის საკონსულო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებზე, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე იმ სპეციალური ჩამონათვალის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგია;

დ) სისხლის სამართლის საქმეების, შრომითი სტაჟის, მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის, არასრულწლოვანთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის, შვილად აყვანისა და საალიმენტო საქმეთა დოკუმენტების გამოთხოვისა და ლეგალიზაციისათვის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამასთან, როგორც წესი, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ არ ანაზღაურდეს საკონსულო მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი დანახარჯები.

## მუხლი 9

„საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკონსულო დაწესებულების მეთაურს უფლება აქვს შეამციროს საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთი ან არ გადაახდევინოს მოსაკრებელი, აგრეთვე თანხა ფაქტობრივი დანახარჯების ასანაზღაურებლად ცალკეულ პირებს მათი განცხადების საფუძველზე, თუ აღნიშნული მიზეზი საპატიო იქნება.

ასეთ შემთხვევებში საკონსულო ოპერაციების სარეგისტრაციო წიგნში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

## მუხლი 10

ვიზების გაცემის, დოკუმენტების გამოთხოვისა და ლეგალიზაციისათვის დადგენილი განაკვეთები ცალკეული ქვეყნებისათვის შეიძლება იყოს განსხვავებული ნაცვალგების პრინციპებიდან და საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

ასეთი განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ბიულეტენში, რომელსაც პერიოდულად აზუსტებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი.

აღნიშნული ბიულეტენი წარმოადგენს საკონსულო მოსაკრებლის ტარიფის დანართს.

## მუხლი 11

საკონსულო დაწესებულების შენობის გარეთ საკონსულო მოქმედების შესრულებისათვის საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთი იზრდება 2-ჯერ.

გარდა ამისა, განმცხადებელმა უნდა აანაზღაუროს აგრეთვე აღნიშნული საკონსულო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი დანახარჯები, მათ შორის, სასტუმროს ქირა და სამივლინებო ხარჯები.

## თავი II

## პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემისა და გაფორმებისათვის დაწესებული მოსაკრებელი

## მუხლი 12

- საქართველოს მოქალაქის პასპორტის (მათ შორის საემიგრაციო) პირველადი გაცემა ან შეცვლა 60 აშშ დოლარი*

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემა ან შეცვლა 15 აშშ დოლარი*

- საქართველოს მოქალაქის დაკარგული მოსაკრებელი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ნაცვლად ახლის იზრდება 2-ჯერ გაცემა

- საქართველოს მოქალაქის პასპორტის დოლარი მოქმედების ვადის გაგრძელება 10 აშშ

- პასპორტში ბავშვების ჩაწერა ან ამოწერა 10 აშშ დოლარი

- დაკარგული ან გამოსაყენებელი უვარგისი პასპორტის ნაცვლად საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა (სხვა შემთხვევებში გაიცემა უფასოდ) 40 აშშ დოლარი

აღნიშნული თანხების მიღებისა და განაწილების შესახებ იხ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 03.05.1995წ. №240 დადგენილება „საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაციისა და შესაბამისად მათზე მოწმობებისა და ქართული პასპორტების გაცემის შესახებ“.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, აგრეთვე მათთან გათანაბრებულ პირებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, 16 წლამდე ასაკის ბავშვებს და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთი უმცირდებათ 50%-ით.

## თავი III

## მოსაკრებელი ვიზების გაცემისათვის

## მუხლი 13

უცხოელებზე ვიზების გაცემისათვის საკონსულო მოსაკრებელი აიკრიფება შემდეგი ოდენობით:

1. ერთჯერადი ვიზებისათვის:

- ვადით 2 კვირამდე 30 აშშ დოლარი

- ვადით 1 თვემდე 40 აშშ დოლარი

- ვადით 3 თვემდე 60 აშშ დოლარი

- შემოსვლის ვიზა 30 აშშ დოლარი

2. მრავალჯერადი ვიზებისათვის:

- ვადით 6 თვემდე 120 აშშ დოლარი

- ვადით 1 წლამდე 180 აშშ დოლარი

3. სატრანზიტო ვიზებისათვის:

- ერთჯერადი 10 აშშ დოლარი

- ორჯერადი 15 აშშ დოლარი

4. ტურისტული ორგანიზაციების წარდგენით:

- ინდივიდუალური ვიზების გაცემისათვის 20 აშშ დოლარი

- ჯგუფური (არანაკლებ 10 კაცისა), თითოეული კაცისაგან 15 აშშ დოლარი

ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის მოსაკრებელი აიკრიფება იმავე ოდენობით, რა ოდენობაც დაწესებულია შესაბამისი ვიზის გაცემისათვის.

## თავი VI

## I. მოსაკრებელი ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

## მუხლი 14

საქართველოს მოქალაქეების საქართველოს ემიგრაციისათვის დაწესებული მოსაკრებელი

- საქართველოდან ემიგრაციის მსურველი პირის შუამდგომლობისა და თანდართული საბუთების გადაგზავნა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებში განსახილველად 25 აშშ დოლარი

შუამდგომლობის დაუკმაყოფილების შემთხვევაში განმცხადებელს თანხა უკან არ უბრუნდება.

## მუხლი 15

საქართველოში იმიგრაციისათვის დაწესებული მოსაკრებელი

- საზღვარგარეთიდან საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსვლის (იმიგრაციის) შესახებ განცხადებათა განხილვისათვის 50 აშშ დოლარი.

განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში განმცხადებელს თანხა უკან არ უბრუნდება.

II. მოსაკრებელი საქართველოს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით

**მუხლი 16**

- საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე

განცხადების შეტანისას საქართველოს მოქალაქეობის შეძენაზე, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაზე 25 აშშ დოლარი

- საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე სათანადო ცნობების გაცემა 15 აშშ დოლარი

**თავი V**

**მოსაკრებელი მმაჩის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების გაფორმებისათვის**

**მუხლი 17**

- ქორწინებაში შევლისათვის განცხადების განხილვა 30 აშშ დოლარი

- ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინების მოწმობის გამება 50 აშშ დოლარი

**მუხლი 18**

განქორწინების რეგისტრაციისათვის დაწესებულია საკონსულო მოსაკრებლის შემდეგი ოდენობა:

- არასასამართლო წესით განქორწინებისრეგისტრაციისა (ორივე ან რეგისტრაციისა და აღნიშნულის დამადასტურებელი (ორივე ან ერთ-ერთი მეუღლისაგან) 100 აშშ დოლარი.

- განქორწინების რეგისტრაცია იმ პირებთან, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ან აღიარებული არიან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ 3 წლისა 5 აშშ დოლარი

**მუხლი 19**

- გვარის, სახელის ან მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც დაკავშირებულია ქორწინებასთან, მამობის დადგენის რეგისტრაციასთან, ან შვილად აყვანასთან 100 აშშ დოლარი

- განმეორებით გამოცვლისათვის 150 აშშ დოლარი

**მუხლი 20**

დაბადების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის 20 აშშ დოლარი

გარდაცვალების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის 10 აშშ დოლარი

შვილად აყვანის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის 30 აშშ დოლარი

მამობის დადგენის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის 30 აშშ დოლარი

მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახების ბავშვებისა და მიტოვებული ბავშვების რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობის გაცემა ხდება უფასოდ.

**მუხლი 21**

- დაბადების, ქორწინების, განქორწინების, და გარდაცვალების აქტის აღდგენასთან, მათში

ცვლილებების, დამატებათა და შესწორებათა შეტანასთან დაკავშირებით მოწმობათა გაცემისათვის 15 აშშ დოლარი;

- ეროვნების და გვარის აღდგენისათვის 50 აშშ დოლარი.

**მუხლი 22**

- მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობების გაცემისათვის 20 აშშ დოლარი

**მუხლი 23**

- მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ სხვა ცნობების გაცემისათვის 35 აშშ დოლარი

**თავი VI**

**მოსაკრებელი საბუთების გამოთხოვისათვის**

**მუხლი 24**

- საბუთის გამოთხოვისათვის, რომლის მოცულობა არ აღემატება ხუთ ნაბეჭდ გვერდს 10 აშშ დოლარი.

- ხუთ ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის მქონე საბუთის გამოთხოვისათვის ყოველ მომდევნო გვერდზე 5 აშშ დოლარი დამატებით აიკრიფება

მოსაკრებელი განმცხადებელს არ უბრუნდება, თუ დოკუმენტი ან მის შესახებ ცნობები არ იქნა აღმოჩენილი.

თუ საკონსულო დაწესებულებაში შემოვა უკვე ლეგალიზებული საბუთი, მაშინ ლეგალიზაციისათვის ცალკე მოსაკრებელი არ აიკრიფება.

**თავი VII**

**მოსაკრებელი დოკუმენტების ლეგალიზაციისა და ნოტარიული დამოწმებისათვის**

**მუხლი 25**

მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის

- საქართველოს მოქალაქეებისათვის 10 აშშ დოლარი

- უცხოელთათვის 15 აშშ დოლარი

განათლების შესახებ დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის

- საქართველოს მოქალაქეებისათვის 7 აშშ დოლარი

- უცხოელთათვის 10 აშშ დოლარი

იმ დოკუმენტების ლეგალიზაცია, რომლებიც შეფასებას ექვემდებარებიან (მინდობილობები, ხელშეკრულებები და ა. შ.)

- საქართველოს მოქალაქეებისათვის 15 აშშ დოლარი

- უცხოელთათვის 20 აშშ დოლარი

სხვა ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაცია

- საქართველოს მოქალაქეებისათვის 7 აშშ დოლარი

- უცხოელთათვის 10 აშშ დოლარი

## მუხლი 26

1. ქონებით სარგებლობისა და განკარგვის უფლების, აგრეთვე საკრედიტო ოპერაციების ჩასატარებლად მინდობილობათა ნოტარიული დამოწმებისათვის:

- საქართველოს მოქალაქეებისაგან:

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 20 აშშ დოლარი

ბ) სხვა მოქალაქეებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 40 აშშ დოლარი უცხოელებისაგან:

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 30 აშშ დოლარი

ბ) სხვა მოქალაქეებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 60 აშშ დოლარი

2. ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობისა და განკარგვის უფლების მინდობილობათა დამოწმებისათვის

საქართველოს მოქალაქეებისაგან:

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 20 აშშ დოლარი

ბ) სხვა მოქალაქეებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 50 აშშ დოლარი

უცხოელებისაგან:

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 30 აშშ დოლარი

ბ) სხვა მოქალაქეებზე გაფორმებული მინდობილობისათვის 80 აშშ დოლარი

3. სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებებისაგან საფოსტო გადარიცხვებით და შემნახველ ბანკებში თანხების მიღებაზე, ამანათების კორესპონდენციების და ა.შ. მიღებაზე, ანაბრების განკარგვაზე მინდობილობათა ნოტარიული დამოწმებისათვის, აგრეთვე იმ მინდობილობათა ნოტარიული დამოწმებისათვის, რომლებიც გაიცემა გადანდობის წესით:

- საქართველოს მოქალაქეებისაგან 20 აშშ დოლარი

- უცხოელთაგან 50 აშშ დოლარი

4. სხვა სახის მინდობილობების დამოწმებისათვის:

- საქართველოს მოქალაქეებისაგან 20 აშშ დოლარი

- უცხოელთაგან 40 აშშ დოლარი

## მუხლი 27

1. საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების ნოტარიალური დამოწმებისათვის:

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 3%

ბ) სხვა მოქალაქეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10%

2. ავტომანქანისა და მოტოციკლის ნაჩუქრობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის

ა) შვილებზე, მეუღლეებზე, მშობლებზე ავტომანქანის ან მოტოციკლის ნამდვილი ღირებულების 3%

ბ) სხვა მოქალაქეებზე ავტომანქანის ან მოტოციკლის ნამდვილი ღირებულების 7%

3. სხვა ისეთი ხელშეკრულებების დამოწმებისათვის, რომლებიც შეფასებას ექვემდებარებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10%

4. ქონების გაყოფის ხელშეკრულების, მინდობილობის ხელშეკრულებისა და სხვა ისეთი გარიგების დამოწმებისათვის, რომელიც შეფასებას არ ექვემდებარება 20 აშშ დოლარი.

**მუხლი 28**

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის:

- საქართველოს მოქალაქეებისაგან 15 აშშ დოლარი

- უცხოელი მოქალაქეებისაგან 20 აშშ დოლარი

**მუხლი 29**

1. დოკუმენტების ასლების ან მათი ამონაწერების სისწორის დამოწმებისათვის (თითოეული გვერდისათვის):

- საქართველოს მოქალაქეებისაგან 7 აშშ დოლარი

- უცხოელი მოქალაქეებისაგან 10 აშშ დოლარი

**მუხლი 30**

დოკუმენტის თარგმანისა და ერთდროულად მისი სისწორის დამოწმებისათვის (თითოეული გვერდისათვის) :

- უცხოური ენიდან თარგმნის დროს 20 აშშ დოლარი

- უცხოურ ენაზე თარგმნის დროს 35 აშშ დოლარი

**მუხლი 31**

საკონსულო დაწესებულების მონაწილეობის გარეშე შესრულებული თარგმანის სისწორის-დამოწმებისათვის:

- თითოეული გვერდისათვის 5 აშშ დოლარი

**მუხლი 32**

საკონსულო დაწესებულების საქმეებში არსებული დოკუმენტებიდან ამონაწერების ან ასლების გაცემისათვის (თითოეული გვერდისათვის):

- საქართველოს მოქალაქეებისაგან 5 აშშ დოლარი

- უცხოელი მოქალაქეებისაგან 15 აშშ დოლარი

მაგრამ მინიმალური მოსაკრებელი აღნიშნული მოქმედებისათვის შეადგენს:

- საქართველოს მოქალაქეებისათვის 20 აშშ დოლარი

- უცხოელი მოქალაქეებისათვის 30 აშშ დოლარი

**მუხლი 33**

სააღსრულებო წარწერის შესრულებისათვის ამოსაღები თანხის 5% მაგრამ, არანაკლებ 5 აშშ დოლარისა

**მუხლი 34**

ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა შეძენის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებისათვის აიკრიფება საკონსულო მოსაკრებელი სავაჭრო საწარმოს მიერ განსაზღვრული ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმცირეს 100 აშშ დოლარისა.

**მუხლი 35**

- საქართველოს მოქალაქეების განცხადების 20 აშშ დოლარი საფუძველზე ჩატარებული, ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ქონების და სხვა მოძიების ან მოკვლევისათვის.

**მუხლი 36**

მოქალაქეთა ცოცხლად ყოფნის ფაქტის 10 აშშ დოლარი დადასტურებისათვის

**მუხლი 37**

მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურებისათვის 10 აშშ დოლარი

**მუხლი 38**

მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან 20 აშშ დოლარი იგივეობის დადასტურებისათვის

**მუხლი 39**

დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურებისათვის 10 აშშ დოლარი

**თავი VIII**

**მოსაკრებელი მეურვეობის, მემკვიდრეობის და სხვა ქონებრივი საქმეების წარმოებისათვის**

**მუხლი 40**

მეურვის დანიშვნის შესახებ აქტის შედგენისათვის 15 აშშ დოლარი

სამეურვეო ქონების მართვის შესახებ ანგარიშის დამტკიცება ქონების ღირებულების 1%

**მუხლი 41**

სამემკვიდრეო ქონების აღწერის აქტის შედგენისა და ამ ქონების დაცვის მიზნით მიღებული ზომებისათვის ქონების ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 15 აშშ დოლარისა

დაინტერესებულ პირთა თხოვნის საფუძველზე. სამემკვიდრეო ქონების შემოწმება წარდგენილი აღწერის მიხედვით ქონების ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 15 აშშ დოლარისა

**მუხლი 42**

ანდერძის დამოწმებისათვის 25 აშშ დოლარი

მასში მემკვიდრეობის დამტოვებლის თხოვნით, ცვლილებებისა და დამატებების შეტანისათვის 5 აშშ დოლარი

### მუხლი 43

მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისათვის:

- პირველი რიგის მემკვიდრეებზე (მეუღლე, მშობლები,შვილები) სამემკვიდრეო თანხის 3%

- მეორე რიგის მემკვიდრეებზე  სამემკვიდრეო თანხის 10%

- დანარჩენ მემკვიდრეებზე  სამემკვიდრეო თანხის 20%

### მუხლი 44

მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილია ქონების წილზე 20 აშშ დოლარი საკუთრების უფლების მოწმობის გაცემისათვის.

### მუხლი 45

საჯარო ვაჭრობით საქონლის ან სხვა ქონების გაყიდვისათვის აღებული თანხის 3% მაგრამ არაუმცირეს 25 აშშ დოლარისა.

### მუხლი 46

საკონსულო დაწესებულებაში დოკუმენტების შენახვისათვის 5 აშშ დოლარი თვეში.

დოკუმენტების შესანახად, მიღების დროს საკონსულო-მოსაკრებელი აიკრიფება წინასწარ და მათი ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან არ ბრუნდება. შენახვის არასრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ.

ანდერძის შენახვისათვის 10 აშშ დოლარი

ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების შენახვისათვის

(გარდა სამემკვიდრეო ფასეულობებისა) 0.2% საერთო თანხიდან თვეში.

ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების შესანახად 6 თვეზე მეტი ვადით დატოვების შემთხვევაში, საკონსულო მოსაკრებელი გადიახდება წინასწარ.

### მუხლი 47

6 თვემდე შესანახად იმ ქონების მიღება, რომელიც უნდა გადაეცეს კუთვნილებისამებრ:

- თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 100 აშშ დოლარს 5 აშშ დოლარი თვეში

- თუ ქონების ღირებულება 100 აშშ დოლარზე მეტია 15 აშშ დოლარი თვეში

## თავი IX

## მოსაკრებელი საზღვაო და საჰაერო ხომალდების საკონსულო მომსახურებისათვის

### მუხლი 48

საზღვაო პროტესტის შესრულება  50 აშშ დოლარი

## მუხლი 49

ხომალდის ტვირთის შესახებ ცნობების გაცემა და დამოწმება 80 აშშ დოლარი

## მუხლი 50

საქართველოს ალმით ცურვის უფლების, ან ხომალდზე საკუთრების უფლების დროებითი მოწმობის გაცემა 150 აშშ დოლარი

## მუხლი 51

სახომალდე დოკუმენტაციის მოქმედების ვადის  გაგრძელება და სახომალდე ჟურნალის გაფორმება 30 აშშ დოლარი

## მუხლი 52

- გემის როლში / გემის ეკიპაჟის სრული ნუსხა / ეკიპაჟის წევრების შეტანა ან ამოღება 30 აშშ დოლარი.

## მუხლი 53

- გემის როლში ან სახომალდე ჟურნალში დამატებითი ფურცლების ჩაკვრა 20 აშშ დოლარი.

## მუხლი 54

- სანიტარიული მოწმობის დამოწმება 30 აშშ დოლარი.

## მუხლი 55

- მარცხგანცდილი ან გატაცებული ხომალდის გადარჩენის შესახებ ოქმის გაფორმება 25 აშშ დოლარი